



შუახევი ჰესის პროექტი,

საქართველო

**ექსპლუატაციაში გაშვების
შემდგომი გარემოსდაცვითი
მონიტორინგი 2022 წ.**

**სხალთისა და დიდაჭარის
წყალსაცავების ნატანისგან
გარეცხვის მონიტორინგი**

დოკუმენტის ვერიფიკაცია

სამუშაოს სახელწოდება		შუახვევი ჰესის პროექტი, საქართველო ექსპლუატაციაში გაშვების შემდგომი გარემოსდაცვითი მონიტორინგი, 2022 წ. სხალთისა და დიდაჭარის წყალსაცავების ნატანისგან გარეცხვის მონიტორინგი
დოკუმენტის სახელწოდება		ანგარიში
ვერსია	თარიღი	ავტორები:
სამუშაო ვერსია 1	10.07.2022	გიორგი ავილოვი, დავით ბაგრატიონი, კონსტანტინ დანკო, ალექსეი იაროჩევიჩი, არჩილ გუჩმანიძე, ლუდმილა კისელოვა, დიანა მილერი, კატერინა მუდრა
საბოლოო ვერსია	15.09.2022	გიორგი ავილოვი, დავით ბაგრატიონი, კონსტანტინ დანკო, ალექსეი იაროჩევიჩი, არჩილ გუჩმანიძე, ლუდმილა კისელოვა, დიანა მილერი, კატერინა მუდრა

შესავალი.....	4
პროექტის აღწერილობა.....	5
1. წყალსაცავის ნატანის გარეცხვის მონიტორინგი	6
1.1 სხალთის წყალსაცავის ნატანის გარეცხვის მონიტორინგი	7
1.2 დიდაჭარის წყალსაცავის ნატანის გარეცხვის მონიტორინგი	10
1.3 ნატანის გრანულომეტრია	13
2. თევზისა და მაკროუხერხემლოების კვლევა	16
3. ეროზიული პროცესები.....	39
დასკვნები და რეკომენდაციები.....	40
დანართი 1. დაჭერილი თევზი	42
დანართი 2. გამოყენებული ლიტერატურა.....	49

შესავალი

2019 წლის სექტემბერსა და 2021 წლის მარტში, „ბლუ რივერს გარემოსდაცვითი კონსალტინგმა“ (Blue Rivers® Environmental Consulting) ბლუ რივერს გარემოსდაცვითი კონსალტინგი) შპს „აჭარისწყალი ჯორჯიასთან“ (შემდგომში „კლიენტი“) ხელი მოაწერა ხელშეკრულებას შუახევი ჰესის პროექტისთვის გარემოსდაცვითი და ტექნოლოგიური პროექტის ფარგლებში სამეცნიერო მხარდაჭერის მომსახურების გასაწევად.

2022 წლის თებერვალში გაფორმდა ახალი ხელშეკრულება. სამუშაოს აღწერილობის შეთავაზება მომზადდა 2019-2021 წლებში „ბლუ რივერს გარემოსდაცვითი კონსალტინგის“ მიერ შესრულებული სავალდებულო კვლევების შედეგების საფუძველზე და ასახავს 2016 წლის დაბალი ნაკადის შერბილების სტრატეგიითა და დანალექების მართვის გეგმით განსაზღვრულ ვალდებულებებს.

ხელშეკრულების თანახმად, პროექტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები მოიცავს:

- სამივე მდინარის ჰიდრომორფოლოგიურ მონიტორინგს;
- ჩირუხისწყლის თევზსავალის მონიტორინგს;
- დიდაჭარის წყალსაცავის ნატანისგან გარეცვის მონიტორინგს;
- სხალთის წყალსაცავის ნატანისგან გარეცვის მონიტორინგს.

ანგარიშში წარმოდგენილია BREC-ის კონსულტანტებისა და შპს NEKTON CONSULTING-თან ერთად შეგროვებული სავალდებულო მონაცემები დიდაჭარისა და სხალთის წყალსაცავების დანალექების გარეცხვის მონიტორინგის ფარგლებში. სავალდებულო სამუშაოები მიმდინარეობდა 2022 წლის 1-5, 9-12, 16-17, 26-30 აპრილს და 7-8 მაისს.





კვლევის მიზანს წარმოადგენდა დიდაჭარისა და სხალთის კაშხლების ქვედა ბიეფზე მდინარეების აჭარისწყლისა და სხალთის წყლის იქთიოფაუნის, წყალქვეშა მაკროუხერხემლოებისა და წყლის ზოგადი ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრების შესწავლა, მდინარეების გასწვრივ ცვლილებების შეფასება გარეცხვამდე, გარეცხვის დროს და მის შემდეგ, ასევე, წყალსაცავის გარეცხვის მყისიერი ზემოქმედების შეფასება წყლის ბიომრავალფეროვნებაზე (თევზები და მაკროუხერხემლოები). მიღებული შედეგები შესაძლებელს გახდის დანალექების მართვის გეგმის განახლებასა და დახვეწას. კერძოდ, უფრო ზუსტად დადგინდება წყლის ის პერიოდი, როდესაც წყალსაცავების გარეცხვა არ არის რეკომენდებული.

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია მონიტორინგის აქტივობების ფარგლებში განხორციელებული სავალდებულო სამუშაოების განხორციელების შედეგად მიღებული დასკვნები და დაკვირვებები.

პროექტის აღწერილობა

შუახევის სქემა მოიცავს ორ კაშხალს წყალსაცავებით და ერთ დამბას მდინარეებზე აჭარისწყალი, სხალთა და ჩირუხისწყალი. წყალი მდინარე ჩირუხისწყალიდან სხალთის ხეობაში გადადის გადამყვანი გვირაბის გავლით. მდინარე სხალთაზე აშენებულია პატარა წყალსაცავი. მცირე ელექტროსადგური (9 მეგავატი) ასევე აშენებულია სხალთის კაშხალზე, რომელიც მდინარე ჩირუხისწყალიდან გადმოტანილი წყალს იყენებს. სხალთის ხეობიდან მდინარე აჭარისწყლის ხეობაში წყლის გადასატანად, სხალთასა და დიდაჭარას შორის აშენდა გადამყვანი გვირაბი. დიდაჭარის კაშხალი და წყალსაცავი მდებარეობს მდინარეების აჭარისწყლისა და ღორჯომის შესართავის ქვედა ბიეფში. წყლის გადატანა შუახევის ელექტროსადგურზე მთავარი სათავე გვირაბის მეშვეობით ხორციელდება (გამოსახულება 1).

შუახევი ჰესმა ოპერირება 2020 წლის მარტში დაიწყო. ბანკის 2008 წლის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის შესაბამისად, პროექტის კლასიფიცირდა "A" კატეგორიად.



გამოსახულება 1. შუახევი ჰესის მიმოხილვითი რუქა და კვლევის ლოკაციები

1. წყალსაცავების ნატანისგან გარეცხვის მონიტორინგი

ნატანი ფენის ჰიდრავლიკურად მოცილება გარეცხვის მეთოდით წყალსაცავის მოცულობის აღდგენის ერთერთ ყველაზე ეფექტურ მეთოდად ითვლება. გარეცხვის ეფექტურობა დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, მათგან უმრავლესობა ლოკაციის სპეციფიციკის მიხედვით განისაზღვრება.

ნატანის გარეცხვამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ქვედა ბიეფის მდინარის ეკოსისტემაზე. ჩანარეცხის მდინარეში გაშვების უარყოფითი ეკოლოგიური შედეგი შესაძლოა უკავშირდებოდეს შემდეგ ორ ფაქტორს:

- ნაკადის მოცულობის გაზრდა და ნატანის გაზრდილი კონცენტრაცია/სიმღვრივე გარეცხვის ოპერაციის დროს და
- მდინარის ჰაბიტატის ცვლილება, რაც მოყვება ჩარეცხილი წვრილი მასალის დაღუქვას.


გარეცხვისას ხორციელდება ნატანის დიდი რაოდენობით გატანა, რაც ქვედა ბიეფში იწვევს ეკოლოგიურ ზემოქმედებას, ეს ზემოქმედება შეიძლება იყოს:

- თევზების სიმჭიდროვის შემცირება და თევზების სიკვდილიანობა;
- მაკროუხერხემლოების/ბენტოსის საცხოვრებელი პირობების გაუარესება;
- გახსნილი ქანგბადის დაბალი დონე;
- ხილვადობისა და სინათლის შეღწევადობის შემცირება და
- არხის მორფოლოგიის ცვლილება, როგორცაა აუზების შევსება და მდინარის ხრეშის დაბლოკვა წვრილი ნალექით, რითაც ნადგურდება ქვირითობის ადგილები და ჰაბიტატი.

2022 წელს, შუახევი ჰესზე წყალსაცავის ნატანის გარეცხვა აპრილის თვეში განხორციელდა: სხალთის წყალსაცავზე 10 დან 12 აპრილამდე, დიდაჭარის კი - 27 დან 29 აპრილამდე.

კვლევის ერთერთ ამოცანას წარმოადგენდა კაშხლის ქვედა ბიეფში მდინარეებში წყლის სიმღვრივის მონიტორინგი და მისი ცვლილება გარეცხვის წინ, მიმდინარეობისას და შემდეგ.

მდინარე სხალთის საკვლევი ტერიტორია - კაშხლის ქვედა ბიეფი მდინარე აჭარისწყალთან შესართავიდან 2,3 კმ-მდე (9,5 კმ). მდინარე აჭარისწყლის საკვლევი ტერიტორია - დიდაჭარის კაშხლის ქვედა ბიეფი ქალაქ შუახევამდე (18 კმ). წყლის სინჯის აღება მოხდა 10 წერტილზე (4 ერთეული მდინარე სხალთაზე და 6 ერთეული აჭარისწყალზე) კაშხლებიდან მისასვლელ მდინარეებზე და ქვედა ბიეფზე (გამოსახულება 2).



გამოსახულება 2. ნიმუშების აღების წერტილების მდებარეობა

ისევე როგორც დიდაჭარის წყალსაცავის გარეცხვისას 2021 წელს, წყლის სინჯები აღებული იქნა მდინარის ცენტრში სათლის მეშვეობით. წყლის ნიმუშების ანალიზი ჩატარდა სიმღვრივის მრიცხველის გამოყენებით - EZODO TUB-430T (სურათი 3) საზომი დიაპაზონით 0-დან 1000 NTU-მდე (ნეფელომეტრიული სიმღვრივის ერთეული). მაღალი სიმღვრივის მქონე ნიმუშები (1000 NTU-ზე მეტი) განზავდა გამოსხილი წყლით.



გამოსახულება 3. სიმღვრივის მრიცხველი - Turbidimeter EZODO TUB-430T

1.1. სხალთის წყალსაცავის ნატანისგან გარეცხვის მონიტორინგი

ქრონოლოგიურად, წყალსაცავის გარეცხვა ასე მიმდინარეობდა:


- 11 აპრილს, 11:30 საათზე, დაიწყო წყალსაცავში წყლის დონის შემცირება, რომელიც 11 აპრილის 22:58 საათამდე გაგრძელდა (ხანგრძლივობა 11 საათი და 28 წუთი).
- ამის შემდეგ, 12 აპრილის 17:10 საათამდე ხლებოდა წყალსაცავის გარეცხვა (ხანგრძლივობა 18 საათი და 12 წუთი).
- შემდეგ დაიწყო წყალსაცავის შევსება (ხანგრძლივობა 5 საათი და 48 წუთი).
- წყალსაცავის შევსება გაგრძელდა 12 აპრილის 22:58 საათამდე (იხილეთ გამოსახულება 5)

კვლევა ჩატარდა 10 აპრილიდან (გარეცხვამდე ერთი დღით ადრე) 12 აპრილამდე (გარეცხვის შემდეგ).

სიმღვრივის შესამოწმებლად, წყლის სინჯები აღებული იქნა 4 სადგურთან სხალთის კაშლიდან მდინარე აჭარისწყლის შესართავამდე (იხილეთ გამოსახულება 4 და ცხრილი 1).

ცხრილი 1. წყლის სიმღვრივის შესამოწმებლად სინჯების აღების წერტილები

#	სინჯის აღების წერტილი	მანძილი სხალთის კაშლიდან, კმ
1	ყოფილ ბანაკთა ახლოს	0.95
2	სოფელ ყინჩაურში	4.5
3	კაშლიდან 8 კმ ქვედა ბიეფზე (სოფელი ძმაგულა)	8
4	კაშლიდან 9.5 კმ ქვედა ბიეფზე (ბოლო ხიდი მდინარე აჭარისწყლის შესართავამდე)	9.5



მდინარეები

სხალთის კაშალი

ნიმუშების აღების წერტილები

კობრისმაგართა და ღორჯოს ქვირითობის მთავარი არეალი

გამოსახულება 4. წყლის სიმღვრივის სინჯების აღების წერტილები, მდინარე სხალთა

10 აპრილს, სანამ წყალსაცავის გარეცხვა დაიწყებოდა, სინჯის აღება განხორციელდა მდინარე სხალთაზე სინჯის აღების ოთხივე პუნქტზე საბაზისო მონაცემების (ბუნებრივი) სიმღვრივის მნიშვნელობის დასადგენად (ცხრილი 2). სხალთაში სიმღვრივე მერყეობდა 155,3-დან 320 NTU-მდე.

ცხრილი 2. მდინარის წყლის სიმღვრივე გარეცხვამდე (საბაზისო შეფასება), 2022 წლის 10 აპრილი

ნიმუშის აღების წერტილი	სიმღვრივე, NTU
1	320
2	156.4
3	218
4	155.3


სიმღვრივის მონიტორინგი ხორციელდებოდა მთლიანი გარეცხვის მიმდინარეობისას, მანამდეც და შემდეგაც სხვადასხვა დროს (ღამის გარდა), სულ, აღებული იქნა 25 ნიმუში (6-7 ნიმუში 4 წერტილში). მონიტორინგის შედეგები წარმოდგენილია გრაფიკზე 5, ცხრილში 3.

სიმღვრივის მაქსიმალური ნიშნული 23-ჯერ მაღალი იყო საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით N1 ლოკაციაზე, კაშხალთან ახლოს, კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებელი - 46-ჯერ მაღალი დაფიქსირდა მეორე ლოკაციაზე და 32-ჯერ მაღალი კვლევის არეალის ბოლოს (რომელიც მდებარეობს კაშლიდან 9.5 კმ-ში).

სიმღვრივის შემცირება ქვედა ბიუჯეტი განპირობებულია როგორც შენაკადებთან წყლის განზავებით, ასევე მდინარე სხალთის პერიფერიულ მონაკვეთებში (მშვიდი დინების მქონე) ნატანის ნაწილის დაღეჭვით.

ცხრილი 3. მაქსიმალური სიმღვრივე გარეცხვის დროს

ნიმუშის ადების ადგილი	თარიღი, დრო	სიმღვრივე, NTU	რამდენჯერ აჭარბებს საბაზისო მონაცემს
1	10.04.2022, 18:39	7376	23
2	10.04.2022, 19:24	7272	46
3	10.04.2022, 19:13	6176	28
4	10.04.2022, 20:40	4952	32



გამოსახულება 5. მდინარე სხალთის წყლის სიმღვრივე (10.04-12.04.2022)

1.2. დიდაჭარის წყალსაცავის ნატანისგან გარეცხვის მონიტორინგი

ქრონოლოგიურად, წყალსაცავის გარეცხვა ასე მიმდინარეობდა:


- 27 აპრილს, 08:40 საათზე, დაიწყო წყალსაცავში წყლის დონის შემცირება, რომელიც 28 აპრილის 10:40 საათამდე გაგრძელდა (ხანგრძლივობა 26 საათი და 40 წუთი).
- ამის შემდეგ, 29 აპრილის 11:00 საათამდე ხდებოდა წყალსაცავის გარეცხვა (ხანგრძლივობა 24 საათი და 20 წუთი).
- შემდეგ დაიწყო წყალსაცავის შევსება. ყველა ჩამკეტი სრულად დაიხურა 30 აპრილის 05:10 საათზე (ხანგრძლივობა 18 საათი და 10 წუთი).
- ამის შემდეგ, დაიწყო დიდაჭარის კაშხლიდან წყლის გადმოდინება (იხილეთ გამოსახულება 7).

კვლევა ჩატარდა 26 აპრილიდან (გარეცხვამდე ერთი დღით ადრე) 30 აპრილამდე (გარეცხვის შემდეგ).

სიმღვრივის შესამოწმებლად წყლის სინჯის აღება განხორციელდა 6 სადგურზე მდინარის მისადგომებთან დიდაჭარის კაშხლიდან ქვედა ბიეფის 18 კმ-მდე (იხ. გამოსახულება 6 და ცხრილი 4).

ცხრილი 4. წყლის სიმღვრივის შესამოწმებლად სინჯების აღების წერტილები

#	სინჯის აღების წერტილი	მანძილი დიდაჭარის კაშხლიდან, კმ
1	შანთაძეები	2.2
2	განახლება	4.3
3	ჩაო	7.3
4	მდინარე სხალთის შესართავთან ქვედა ბიეფზე 0.5 კმ-ში	10.6
5	ნენია	14.3
6	შუახევი, მდინარე ჩირუხისწყლის შესართავთან ზედა ბიეფზე 2.3 კმ-ში	17.4



გამოსახულება 6. წყლის სიმღვრივის სინჯების აღების წერტილები, მდინარე აჭარისწყალი

26 აპრილს, სინჯების აღება მოხდა ზუსრად წყალსაცავის გარეცხვამდე (ცხრილი 5). მდინარე აჭარისწყალზე სიმღვრივე მერყეობდა 112.5-დან 556 NTU-მდე.

ცხრილი 5. მდინარის წყლის სიმღვრივე გარეცხვამდე (საბაზისო შეფასება), 2022 წლის 26 აპრილი

ნიმუშის ალების წერტილი	სიმღვრივე, NTU
1	112.5
2	415
3	395
4	527
5	566
6	566

სიმღვრივის მონიტორინგი ხორციელდებოდა მთლიანი გარეცხვის მიმდინარეობისას, მანამდეც და შემდეგაც სხვადასხვა დროს (დამის გარდა), სულ, აღებული იქნა 72 ნიმუში (12 ნიმუში 6 წერტილში). მონიტორინგის შედეგები წარმოდგენილია გრაფიკზე 7, ცხრილში 6.


სიმღვრივის მაქსიმალური ნიშნული 238-ჯერ მაღალი იყო საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით N1 ლოკაციაზე, კაშხალთან ახლოს, 52-ჯერ მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა მეორე ლოკაციაზე და 18-ჯერ მაღალი კვლევის არეალის ბოლოს (რომელიც მდებარეობს კაშხლიდან 17.4 კმ-ში).

სიმღვრივის მაქსიმალური მაჩვენებელი 2021 წელს განხორციელებული გარეცხვის დროს იყო 22 798 NTU, რაც 18%-ით დაბალი 2022 წელს გარეცხვის დროს დაფიქსირებულ მაჩვენებელზე. სიმღვრივის მაქსიმალური მაჩვენებლები შეესაბამებოდა წყლის გაშვების სიჩქარეს: 30 მ³/წმ 2021 წელს და 72 მ³/წმ 2022 წელს.

სიმღვრივის შემცირება ქვედა ბიუფში განპირობებულია როგორც შენაკადებთან წყლის განზავებით, ასევე მდინარე აჭარისწყლის პერიფერიულ მონაკვეთებში (მშვიდი დინების მქონე) ნატანის ნაწილის დალექვით.

ცხრილი 6. მაქსიმალური სიმღვრივე გარეცხვის დროს

ნიმუშის ალების ადგილი	თარიღი, დრო	სიმღვრივე, NTU	რამდენჯერ აჭარბებს საბაზისო მონაცემს
1	27.04.2022, 11:25	26 860	238
2	27.04.2022, 11:50	21 700	52
3	27.04.2022, 12:08	17 740	45
4	27.04.2022, 12:19	13 680	26
5	27.04.2022, 12:29	12 555	22
6	27.04.2022, 12:45	10 380	18



გამოსახულება 7. მდინარე აჭარისწყლის წყლის სიძვრივე (26.04-30.04.2022)

1.3. ნატანის გრანულომეტრია

გარეცხვამდე და გარეცხვის შემდეგ მოხდა ნატანის ნიმუშების აღება და შეფასება ორივე მდინარეზე, ორ წერტილში (ცხრილი 7, 8; გრაფიკები 8-11). გამოყენებული იქნა შემდეგი მეთოდები:

- ფოტოგრაფიული მეთოდი**– 1 მ² ჩარჩოს გამოყენება მსხვილი ნაწილაკების პროცენტული შემადგენლობის ვიზუალური შეფასებისათვის:
 - ლოდი (256 მმ – 2 048 მმ)
 - რიყის ქვა (64 მმ – 256 მმ)
 - კენჭი (17 მმ – 64 მმ)
 - ხრეში (2 მმ – 17 მმ)
 - ქვიშა (<2 მმ).
- გაცრის მეთოდი** – გეოლოგიური საცრის გამოყენება წვრილი ნაწილაკების პროცენტულობის შესაფასებლად:
 - მსხვილი კენჭი (<20 მმ)
 - საშუალო ზომის კენჭი (10 – 20 მმ)
 - მსხვილი ხრეში (5 – 10 მმ)
 - საშუალო ზომის ხრეში (2 – 5 მმ)
 - ძალიან მსხვილი ქვიშა (1 მმ – 2 მმ)
 - მსხვილი ქვიშა (0.5 მმ – 1 მმ)
 - საშუალო ზომის ქვიშა (0.25 მმ – 0.5 მმ)
 - წვრილი ქვიშა (0.1 მმ – 0.25 მმ).
- ჰიპეტის მეთოდი** – სპეციალური გეოლოგიური ჰიპეტების გამოყენება ძალიან წვრილი ნაწილაკების პროცენტული შემადგენლობის შესაფასებლად:
 - მტვერი, ტალახი და თიხა (0.001-0.1 მმ).


ცხრილი 7. ნატანის შემადგენლობა (ფოტოგრაფიული მეთოდი)

ნატანის ტიპი	ნატანის ზომა, მმ	მდ. სხალთა, სინჯის ალების ადგილი #1		მდ. აჭარისწყალი, სინჯის ალების ადგილი #1	
		გარეცხვამდე	გარეცხვის შემდეგ	გარეცხვამდე	გარეცხვის შემდეგ
		ნატანის %			
ლოდი	256 – 2 048	1	1	25	25
რიყის ქვა	64 – 256	65	64	38	33
კენჭი	17 – 64	25	19	28	27
ხრეში	2 – 17	6	9	6	9
ქვიშა	< 2	3	7	3	6


ცხრილი 8. ნატანის შემადგენლობა (გაცრისა და ჰიპეტის მეთოდები)

ნატანის ტიპი	ნატანის ზომა, მმ	მდ. სხალთა, სინჯის ალების ადგილი #1		მდ. აჭარისწყალი, სინჯის ალების ადგილი #1	
		გარეცხვამდე	გარეცხვის შემდეგ	გარეცხვამდე	გარეცხვის შემდეგ
		ნატანის %			
მსხვილი კენჭი	> 20	25	24.5	2.5	-
საშუალო ზომის კენჭი	10 – 20	28.2	25.7	4.2	1.1
მსხვილი ხრეში	5 – 10	11	10.9	11	10.2

ნატანის ტიპი	ნატანის ზომა, მმ	მდ. სხალთა, სინჯის ალების ადგილი #1		მდ. აჭარისწყალი, სინჯის ალების ადგილი #1	
		გარეცხვამდე	გარეცხვის შემდეგ	გარეცხვამდე	გარეცხვის შემდეგ
		ნატანის %			
საშუალო ზომის ხრეში	2 – 5	9.3	10.1	11	8.6
ძალიან მსხვილი ქვიშა	1 – 2	9	9.9	14.2	15.4
მსხვილი ქვიშა	0.5 – 1	5	7.4	19.7	21.3
საშუალო ზომის ქვიშა	0.25 – 0.5	5.1	6.2	20	22.4
წვრილი ქვიშა	0.1 – 0.25	2.5	2.1	13.4	15.3
მტვერი	< 0.1	2.7	3.2	4	5.7
	< 0.05	2.2	-	-	-
ტალახი და თიხა	< 0.01	-	-	-	-




გამოსახულება 8. მდ. სხალთა, სინჯის ალების ადგილი (ფოტოგრაფიული მეთოდი)




გამოსახულება 9. მდ. სხალთა, სინჯის ალების ადგილი #1 (ბაცრისა და ჰიპეტის მეთოდები)

გარეცხვის შემდეგ, ნალექების შემადგენლობაში შემდეგი ცვლილებები დაფიქსირდა:

- ფოტოგრაფიული მეთოდი: ლოდებისა და რიყის ქვების პროცენტული მაჩვენებელი იგივე დარჩა; კენჭების პროცენტული მაჩვენებელი შემცირდა -6%-ით; ხრეშისა და ქვიშის პროცენტული მაჩვენებელი კი გაიზარდა შესაბამისად +3% და +4%-ით.
- გაცრისა და ჰიპეტის მეთოდები: საშუალო ზომის ხრეშისა და სხვადასხვა ტიპის ქვიშის პროცენტული მაჩვენებელი გაიზარდა +1-დან +3%-მდე; ხოლო მსხვილი ნაწილაკების მაჩვენებელი გარეცხვის შემდეგ შემცირდა.



გამოსახულება 10. მდ. აჭარისწყალი, სინჯის ადების ადგილი (ფოტოგრაფიული მეთოდი)



გამოსახულება 11. მდ. აჭარისწყალი, სინჯის ადების ადგილი #1 (გაცრისა და ჰიპეტის მეთოდები)

გარეცხვის შემდეგ, დანალექების შემადგენლობაში შემდეგი ცვლილებები დაფიქსირდა:

- ფოტოგრაფიული მეთოდი: ლოდებისა და რიყის ქვების პროცენტული მაჩვენებელი იგივე დარჩა; კენჭების პროცენტული მაჩვენებელი შემცირდა -5%-ით; ხრეშისა და ქვიშის პროცენტული მაჩვენებელი კი გაიზარდა +3%-ით.
- გაცრისა და ჰიპეტის მეთოდები: კენჭებისა და ხრეშის პროცენტული მაჩვენებელი შემცირდა, სანაცვლოდ, გაიზარდა ყველა ტიპის ქვიშის პროცენტული მაჩვენებელი +1.2%-იდან +2.4%-მდე.

გარეცხვის შემდეგ, დანალექების შემადგენლობა შეიცვალა შემდეგნაირად - გაიზარდა წვრილი ნატანის - ქვიშისა და კენჭების წილი ორივე მდინარეში და ყველა სადგურზე.

თევზებისა და მაკროუხერხემლოების კვლევა

კვლევა მოიცავდა შემდეგ კომპონენტებს:

- იქთიოფაუნა - სახეობების შემადგენლობა, თითოეული სახეობის გარცელება, ზომა, სიმწიფის ეტაპები;
- ბენტოსური წყლის მაკროუხერხემლოები - შემადგენლობა (პროცენტული მაჩვენებელი), რადენობა და ძირითადი ტაქსონომიური ჯგუფების ბიომასა;
- წყლისა და დინების სიჩქარის ძირითადი ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრები - ტემპერატურა, pH, გახსნილი ჟანგბადი, მარილიანობა, გამტარობა, TDS, გამჭვირვალობა.

კვლევის ეტაპები

კაბინეტური კვლევა 2022 წლის 21-25 მარტს განხორციელდა. კონსულტანტმა შეისწავლა არსებული ლიტერატურა, რომელიც გამოყენებულ ლიტერატურაშია მითითებული. პროექტის არეალი გაანალიზდა ორთოფოტოებით, სატელიტური გამოსახულებების (Google Earth Pro: 2022) და მცირე მასშტაბის ტოპოგრაფიული რუქების მეშვეობით (1:50 000). ველის კვლევის პროგრამა, განრიგი და მარშრუტები დაიგეგმა სპეციფიკური ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

საველე კვლევები სამ ეტაპად განხორციელდა:


- **პირველი ეტაპი** განხორციელდა წყალსაცავების გარეცხვამდე რამდენიმე დღით ადრე - 2022 წლის 1-დან 5 აპრილამდე. კვლევა მოიცავდა იქთიოფაუნის, ბენტოსური მაკროუხერხემლოებისა და წყლის ზოგადი ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრების შესწავლას. საველე სამუშაოების დროს მზიანი ამინდი იყო. დღის მანძილზე ჰაერის ტემპერატურა +22,2...+26,5°C-ს აღწევდა, ხოლო ღამით +11,1...+14,5°C.
- **მეორე ეტაპი** განხორციელდა წყალსაცავების გარეცხვის დროს - ეს იყო 2022 წლის 11 აპრილი მდ. სხალთაზე და 2022 წლის 27-29 აპრილი მდ. აჭარისწყალზე. კონსულტანტმა განახორციელა საკვლევი სადგურების ვიზუალური აუდიტი, შეამოწმა სადგურებს შორის მანძილი, გამორიყული თევზის ძებნა ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამასთან ერთად, აიღეს წყლის სინჯები ზოგადი ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრების შესაფასებლად. იქთიოფაუნისა და ბენტოსური მაკროუხერხემლოების შესწავლა კვლევის ამ ეტაპზე არ განხორციელებულა წყლის მაღალი სიმღვრივისა და დინების სიჩქარის გამო. საველე სამუშაოების დროს მეტეოროლოგიური პირობები შემდეგნაირი იყო: 11 აპრილი - მზიანი დღე, დღის მანძილზე ჰაერის ტემპერატურა +28,3...+25,1°C, ხოლო ღამით ჰაერის ტემპერატურა +16,2...+18,1°C დაფიქსირდა; 27-29 აპრილი - მზიანი დღეები, დღის განმავლობაში ჰაერის ტემპერატურა +21,1...+25,2°C, ხოლო ღამით +12,2...+14,9°C.
- **კვლევის მესამე ეტაპი** წყალსაცავების ჩარეცხვიდან რამდენიმე დღეში განხორციელდა. ეს ეტაპი მოიცავდა სამუშაოებს 2022 წლის 16-17 აპრილს მდ.

სხალთაზე და 2022 წლის 7-8 მაისს მდ. აჭარისწყალზე. ამ ეტაპის ფარგლებში, კონსულტანტმა შეაფასა წყალსაცავის გარეცხვის ზემოქმედება ბენტოსურ ცენოზსა და იქთიოფაუნაზე საბაზისო მდგომარეობასთან შედარებით (პირველი ეტაპი). კონსულტანტმა ჩაატარა იქთიოფაუნის, წყალქვეშა მაკროუხერხემლოებისა და წყლის ზოგადი ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრების ანალიზი - იგივე რაც კვლევის პირველ ეტაპზე. სავლეთ სამუშაოების დროს შემდეგი მეტეოროლოგიური პირობები იყო: 16-17 აპრილი - მზიანი დღეები, დღის განმავლობაში ჰაერის ტემპერატურა დაფიქსირდა +17,5...+20,1°C, ხოლო ღამით - +9,1...+12,5°C; 7-8 მაისს - მზიანი და დრუბლიანი დღეები იყო, დღისით ჰაერის ტემპერატურა +16,6...+17,8°C, ღამით კი - +10,2...+12,5°C.

უნდა აღინიშნოს, რომ მდინარე აჭარისწყლის აუზში გაზაფხულის მაღალი წყლის დონე მარტის ბოლოდან მაისის შუა რიცხვებამდე შენარჩუნდა. იყო რამდენიმე ბუნებრივი წყალდიდობა და ღვარცოფი, რაც თოვლის დნობამ და წვიმებმა გამოიწვია.

კვლევის ქსელი

კვლევა განხორციელდა 10 სადგურზე, აქედან 6 სადგური იყო მდინარე აჭარისწყალზე, ხოლო 4 სადგური - მდინარე სხალთაზე (იხილეთ ცხრილი 9, გამოსახულებები 12-22).



გამოსახულება 12. საკვლევო სადგურების მდებარეობა

ცხრილი 9. საკვლევო სადგურები

#	სახელწოდება	მდებარეობა	სიმაღლე, მ ზღვის დონიდან	კოორდინატები
F1	აჭარისწყალი 1	დიდაჭარის კაშხლის ქვედა ბიუფიდან 2.2 კმ	722	41.654041° / 42.328744°
F2	აჭარისწყალი 2	დიდაჭარის კაშხლის ქვედა ბიუფიდან 4.3 კმ	681	41.638667° / 42.318381°

#	სახელწოდება	მდებარეობა	სიმაღლე, მ ზღვის დონიდან	კოორდინატები
F3	აჭარისწყალი 3	დიდაჭარის კაშხლის ქვედა ბიეფიდან 7,3 კმ	589	41.626087° / 42.295654°
F4	აჭარისწყალი 4	დიდაჭარის კაშხლის ქვედა ბიეფიდან 10.6 კმ	525	41.621574° / 42.264204°
F5	აჭარისწყალი 5	დიდაჭარის კაშხლის ქვედა ბიეფიდან 14,3 კმ	481	41.626700° / 42.229540°
F6	აჭარისწყალი 6	დიდაჭარის კაშხლის ქვედა ბიეფიდან 17,4 კმ	428	41.626791° / 42.199091°
F7	სხალთა 1	სხალთის კაშხლის ქვედა ბიეფიდან 9,5 კმ	612	41.604770° / 42.282383°
F8	სხალთა 2	სხალთის კაშხლის ქვედა ბიეფიდან 8 კმ	620	41.598402° / 42.294269°
F9	სხალთა 3	სხალთის კაშხლის ქვედა ბიეფიდან 4,5 კმ	674	41.583956° / 42.325782°
F10	სხალთა 4	სხალთის კაშხლის ქვედა ბიეფიდან 0.95 კმ	788	41.577337° / 42.365018°



გამოსახულება 13. ა) სათევზაო ბილიკი სადგურზე F1, ბ) კვლევის სადგური F1



გამოსახულება 14. ა) სათევზაო ბილიკი სადგურზე F2, ბ) კვლევის სადგური F2



გამოსახულება 15. ა) სათევზაო ბილივი სადგურზე F3, ბ) კვლევის სადგური F3



გამოსახულება 16. ა) სათევზაო ბილივი სადგურზე F4, ბ) კვლევის სადგური F4



გამოსახულება 17. ა) სათევზაო ბილივი სადგურზე F5, ბ) კვლევის სადგური F5



გამოსახულება 18. ა) სათევზაო ბილივი სადგურზე F6, ბ) კვლევის სადგური F6



გამოსახულება 19. ა) სათევზაო ბილიცი სადგურზე F7, ბ) კვლევის სადგური F7



გამოსახულება 20. ა) სათევზაო ბილიცი სადგურზე F8, ბ) კვლევის სადგური F8



გამოსახულება 21. ა) სათევზაო ბილიცი სადგურზე F9, ბ) კვლევის სადგური F9



გამოსახულება 22. ა) სათევზაო ბილიცი სადგურზე F10, ბ) კვლევის სადგური F10

თევზების კვლევის მეთოდები

თევზჭერა განხორციელდა იმ მეთოდებისა და აღჭურვილობის გამოყენებით, რომელიც არ მოითხოვს რაიმე სახის სპეციალურ ნებართვას ან ლიცენზიას.

საქართველოს წითელ ნუსხაში შეყვანილი თევზის სახეობების დაჭერის შემდეგ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ისინი კვლავ ბუნებრივ გარემოში იქნენ გაშვებული (რეკრეაციული თევზაობის პრაქტიკის გამოყენებით - „დაჭერა და გაშვება“ პრინციპი). გაშვების დროს, მკვლევარებმა თევზებს ფოტოები საზომ მარკერებთან ერთად გადაუღეს. დაჭერილი და შემდეგ ისევ წყალში გაშვებული თევზის სიგრძე გაიზომა საზომი მარკერების გამოყენებით და შემდეგ გადაიყვანეს მისი წონის ერთეულში ამ სახეობისთვის დადგენილი ზომა-წონის თანაფარდობის შესაბამისად. ასაკობრივი მოდელირება ჩატარდა ზომების გამოყენებით. ფოტოებზე დაყრდნობით, სქესი განისაზღვრა თავისა და სხეულის სხვა ნაწილების პროპორციების მიხედვით. მომწიფების სტადია დადგინდა სახეობის ბიოეკოლოგიური თავისებურებების მიხედვით.

თევზჭერა ხდებოდა 11-13 კგ სასროლი ბადით, ბადის ზომა - (კვანძის ცენტრიდან კვანძის ცენტრამდე) 20 მმ, რომელიც ფარავს 9-12 მ2 ფართობს. კონსულტანტმა გამოიყენა წინასწარ შერჩეული მონაკვეთები თევზის დასაჭერად 520-დან 964 მ სიგრძეზე. თითოეულ სადგურზე, თევზჭერა განხორციელდა სასროლი ბადის მეშვეობით. თითოეულ სადგურზე თევზის დასაჭერად კონსულტანტს ჰქონდა მინიმუმ 22 და მაქსიმუმ 51 მცდელობა. სასროლი ბადით დაჭერა შესაბამისად რაოდენობრივად განისაზღვრა საზომ ერთეულ CPUE-ში. ეს კონსულტანტს საშუალებას აძლევდა განესაზღვრა მთლიანი იქთიოფაუნისა და კონკრეტული სახეობების სიმრავლე „დაჭერა-მცდელობის რაოდენობის“ catch-per-unit-effort მეშვეობით (CPUE).

მცირე ზომის თევზების ნიმუშების აღება (დაჭერა-გაშვების პრინციპის დაცვით) განხორციელდა სასროლი ბადის მეშვეობით, რომელსაც აქვს 250 მიკრონიანი ბადე და 46x20 სმ ჩარჩო. დაჭერილი თევზის ნიმუშები გაზომეს თევზის საზომი ლენტისა და დაფის გამოყენებით. დამატებითი განზომილებიანი მონაცემები დაზუსტდა სპეციალური - გამოსახულების ანალიზის პროგრამული პაკეტის - Digimizer, ვერსია 5.7.2, MedCalc Software Ltd მეშვეობით, სადაც ზომის მარკერად აღებული იყო საზომი დაფის და ლენტის სანტიმეტრი/მილიმეტრიანი ნიშნულები.

თევზის სახეობების ნიმუშების აღება, იდენტიფიცირება და ლაბორატორიული შესწავლა მიმდინარეობდა სტანდარტული მეთოდებისა და თანამედროვე პრაქტიკის გამოყენებით. გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი მოცემულია დანართ 2-ში.

ანგარიშში თევზის სახეობების სამეცნიერო დასახელებები (ნომენკლატურა) ძირითადად მოცემულია თევზის სახეობების გლობალური მონაცემთა ბაზის მიხედვით: www.fishbase.org¹

წყალქვეშა მაკროუხერხემლოების კვლევა

წყლის მაკროუხერხემლოების ყველა ნიმუში აღებული იქნა მეთოდით, რომელსაც ეწოდება ბადის „სროლა და მოსმა“ (Schmidt-Kloiber, 2006). ამ მეთოდის ძირითადი პრინციპი ისაა, რომ დინების საწინააღმდეგოდ მდგარი მკვლევარი ისვრის აღჭურვილობას, რათა დაფაროს 0,25 x 0,25 მ ფართობი და შეაგროვოს ამ ფართობზე არსებული წყლის მაკროუხერხემლოები წყალში ხელის ბადის „გასმით“. მოგვიანებით, ხის მოზრდილი ნაჭრები და კენჭები ვიზუალურად იქნა შესწავლილი და გაწმენდილი, რათა გაეთვალისწინებინათ მათზე მიმაგრებული წყლის მაკროუხერხემლოები.

წყლის მაკროუხერხემლოების დიდი და იშვიათი სახეობების იდენტიფიცირებისთვის ნიმუშების აღება ასევე მოხდა მიკროჰაბიტატებში (მაგ. წყალქვეშა ტოტები, მდინარის ძირითადი დინებიდან ამოჭრილი დროებითი აუზები და ა.შ.). გარდა ამისა, აღებული იქნა უხერხემლოების რაოდენობრივი ნიმუშები ქვებიდან ჩამორეცხვით 0,5 x 0,5 მ ფართობის

¹ Froese, R. და D. Pauly, 2019, FishBase. ელექტრონული ჰუბლიკაცია. www.fishbase.org, ვერსია (12/2019), მცირე შენიშვნებით.

უბნებზე; ადგილები შეირჩა ყველაზე ტიპური ჰაბიტატები დომინანტური ნატანის შემადგენლობის მიხედვით.

წყლის მაკროუხერხემლოები შეგროვდა ყველა სადგურზე 250 მიკრონი ზომის სასროლი ბადით და 46x20 სმ ბადის ჩარჩოს ქვიანი სუბსტრატის გადაფხვკით. წყლის მაკროუხერხემლოების შეფასება ჩატარდა ადგილზე „ცოცხლად“, „ცოცხალი დაკვირვების“ შემდეგ, ყველა ცოცხალი ნიმუში დაფიქსირდა ფორმალდეჰიდის/ალკოჰოლის ხსნარში ლაბორატორიული კვლევისთვის.

%EPT-ის ინდექსი გამოხატავს დაბინძურებისადმი მგრძობიარე სახეობების პროცენტულ მაჩვენებელს (E= Ephemeroptera, P= Plecoptera, T= Tricoptera) საერთო ნაპოვნ სახეობებში. %EPT-ის ინდექსი არის ეფემეროპტერების, პლეკოპტერების და ტრიქოპტერების ყველა ინდივიდის ჯამი გაყოფილი ყველა შეგროვებული წყლის მაკროუხერხემლოების ჯამზე 100X.

$$\frac{\text{Total EPT Taxa}}{\text{Total Taxa Found}} \times 100\% = \% \text{ Abundance}$$

% EPT ტაქსონის დიდი პროცენტი მიუთითებს წყლის მაღალ ხარისხზე.

წყლის მაკროუხერხემლო სახეობების ნიმუშების აღება, განსაზღვრა და ლაბორატორიული შესწავლა განხორციელდა სტანდარტული მეთოდებითა და თანამედროვე პრაქტიკით. გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი მოცემულია დანართ 1-ში.

წყლის ძირითადი ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრების კვლევა

წყლის ძირითადი ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრები განისაზღვრა პორტატული მრავალარხიანი ანალიზატორის - კომბინირებული წყლის ხარისხის ტესტერის - pH /cond./salt/TDS/D.O. (ხელის ციფრული მრიცხველი მეხსიერების ფუნქციით, მოდელი: 86031. ბრენდი: AZ Instrument Corp. (<https://www.az-instrument.com.tw>) (გამოსახულება 23). ეს პორტატული მრავალარხიანი ანალიზატორი დატესტილია და სატესტო სერთიფიკატი გაცემულია ევროკავშირის რეგულაციების/სტანდარტების შესაბამისად.



გამოსახულება 23. კომბინირებული წყლის ხარისხის ტესტერი– pH /cond./salt/TDS/D.O.

ნაკადის სიჩქარე განისაზღვრა პორტატული JDC ელექტრონული SA "Flowatch" ნაკადის მრიცხველის (მოდელი: FL-03) (<https://www.jdc.ch>) გამოყენებით (გამოსახულება 24). ეს პორტატული ნაკადის მრიცხველი დატესტილია და სატესტო სერთიფიკატი გაცემულია ევროკავშირის რეგულაციების/სტანდარტების შესაბამისად.



გამოსახულება 24. JDC Electronic SA "Flowwatch" ნაკადის მრიცხველი (მოდელი: FL-03)

ინტერვიუ მეთევზეებთან

საველე გამოკითხვისას ასევე ჩატარდა სოციალური კვლევა - ძირითადად ადგილობრივი მეთევზის ინტერვიუს მეთოდით. ამ მიზნით, კონსულტანტმა შეარჩია ადგილობრივი მეთევზეები, რომელთაც აქვთ მდინარე აჭარისწყლის საკვლევ ტერიტორიაზე თევზაობის მინიმუმ 10 წლიანი გამოცდილება.

ინტერვიუები ჩატარდა მხოლოდ ფაქტობრივი ინფორმაციის შეგროვებისა და ფაქტების გაყალბების თავიდან აცილების მიზნით (გაზვიადება, გაყალბება, ინფორმაციის დამალვა). შეგროვებული ინფორმაცია ჩაითვადა, როგორც ჭეშმარიტი და ნამდვილი იმ შემთხვევაში, როდესაც ამ ინფორმაციას ადასტურებდა სამზე მეტი მეთევზე.

სულ 11 მეთევზე გამოიკითხა. რაიმე სპეციალური ფორმა და კითხვარი არ ყოფილა გამოყენებული.

თევზებისა და მაკროუხერხემლოების კვლევის შედეგები

წყლის ძირითადი ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრები

წყლის ძირითადი ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრები, რომლებიც შესწავლილ იქნა წყალსაცავის ნატანის გარეცხვამდე, გარეცხვის დროს და გარეცხვის შემდეგ. გარეცხვის დროს აღინიშნა გახსნილი ჟანგბადის კონცენტრაციის უმნიშვნელო დაქვეითება. თუმცა, მისი კონცენტრაცია არ იყო ადგილობრივი და ევროკავშირის ეკოლოგიური ხარისხის სტანდარტებზე დაბალი. სხვა პარამეტრების კონცენტრაცია იმ დიაპაზონში იყო, რაც დამახასიათებელია ბუნებრივი გაზაფხულის წყალდიდობებისთვის. შედეგები წარმოდგენილია ცხრილებში 10 და 11.

ცხრილი 10. წყლის ძირითადი ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრები, მდ. აჭარისწყალი

სადგური	კვლევის ეტაპი	ტემპერატურა (°C)	გახსნილი ჟანგბადი (მგ/ლ)	გახსნილი ჟანგბადი (%)	pH	მარილიანობა (ppt)	TDS (ppm)	გამტარობა (µS/სმ)	გამჭვირვალობა (მ)	დინების სიჩქარე (მ/წმ)
F1	გარეცხვამდე	7,2	9,9	95,5	7,28	0,06	87,1	134	0,3	0,9
	გარეცხვის დროს	9,2	6,5	85,1	6,4	0,01	474	85	0	2,6

	გარეცხვის შემდეგ	7,4	9,4	91,3	7,13	0,01	71,7	118	0,3	0,8
F2	გარეცხვამდე	7,6	9,6	91,2	7,21	0,02	101,9	116	0,2	1,3
	გარეცხვის დროს	9,2	6,6	85,5	6,4	0,01	461	89	0	2,4
	გარეცხვის შემდეგ	7,5	9,5	93,4	7,45	0,02	82,1	121	0,3	1,1
F3	გარეცხვამდე	7,7	9,9	94,3	7,33	0,05	119,8	114	0,2	1,2
	გარეცხვის დროს	9,2	6,8	87,6	6,4	0,02	431	92	0	2,2
	გარეცხვის შემდეგ	7,5	9,4	90,1	7,44	0,02	88,8	122	0,3	1,1
F4	გარეცხვამდე	7,1	9,3	92,7	7,19	0,03	312,2	121	0,2	0,9
	გარეცხვის დროს	9,1	6,8	88,8	6,7	0,02	222	98	0	2,1
	გარეცხვის შემდეგ	7,3	9,4	92,1	7,39	0,04	109,6	132	0,3	0,9
F5	გარეცხვამდე	7,1	9,4	89,9	7,35	0,06	205,1	118	0,2	1,1
	გარეცხვის დროს	9,1	6,9	87,5	6,6	0,02	316	95	0,1	1,9
	გარეცხვის შემდეგ	7,6	9,2	91,2	7,56	0,05	107,9	130	0,2	1,0
F6	გარეცხვამდე	7,8	9,2	89,8	7,36	0,08	182,1	114	0,2	0,9
	გარეცხვის დროს	9,0	6,9	85,5	6,9	0,04	402	101	0,1	1,6
	გარეცხვის შემდეგ	8,1	9,1	93,1	7,12	0,06	176,2	138	0,2	1,1

ცხრილი 11. წყლის ძირითადი ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრები, მდინარე სხალთა

სადგური	კვლევის უბანი	ტემპერატურა (°C)	გაზსნილი ჟანგბადი (მგ/ლ)	გაზსნილი ჟანგბადი (%)	pH	მარილიანი ნობა (ppt)	TDS (ppm)	გამტარობა (μ S/სმ)	გამჭვირვალობა (მ)	დინების სიჩქარე (მ/წმ)
F7	გარეცხვამდე	6,4	9,2	89,2	7,82	0,03	177,2	121	0,1	1,1
	გარეცხვის დროს	6,6	8,2	86,1	7,11	0,01	209,8	99	0	1,6
	გარეცხვის შემდეგ	7,1	9,0	92,9	7,66	0,03	132,3	109	0,1	1,0
F8	გარეცხვამდე	6,3	9,7	90,1	7,62	0,02	129,4	102	0,2	0,8
	გარეცხვის დროს	6,5	8,4	85,2	7,05	0,01	282,2	96	0	1,2
	გარეცხვის შემდეგ	7,0	9,2	92,1	7,56	0,02	142,4	109	0,2	0,8
F9	გარეცხვამდე	6,2	9,6	93,8	7,61	0,01	99,2	124	0,2	0,9
	გარეცხვის დროს	6,2	8,2	84,4	6,92	0,01	196,3	107	0	1,2
	გარეცხვის შემდეგ	6,8	9,4	91,2	7,13	0,01	88,8	120	0,1	1,0
F10	გარეცხვამდე	6,1	9,7	95,2	7,42	0,01	92,1	119	0,2	0,9

სადგური	კვლევის ეტაპი	ტემპერატურა (°C)	გაზსნობის ჯანგბადი (მგ/ლ)	გაზსნობის ჯანგბადი (%)	pH	მარილიანობა (ppt)	TDS (ppm)	გამტარობა (μS/სმ)	გამჭვირვალობა (მ)	დინების სიჩქარე (მ/წმ)
	გარეცხვის დროს	6,2	8,2	82,1	6,66	0,01	201.1	104	0	1,2
	გარეცხვის შემდეგ	6,8	9,2	97,1	7,82	0,01	95,7	118	0,2	1,1



გამოსახულება 25. წყლის ძირითადი ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრებისა და დინების სიჩქარის გაზომვა

წყლის მაკროუხერხემლოების შემადგენლობა და სიმრავლე

საქართველოს ლანდშაფტების, მიკროკლიმატური პირობების და მტკნარი წყლის ჰაბიტატების მრავალფეროვნებამ განაპირობა ამფიბია მწერების მდიდარი მრავალფეროვნება. რამდენადაც გამყინვარების ერა კავკასიაში საკმაოდ რბილი იყო, ის მრავალი სახეობისათვის „უსაფრთხო ადგილად“ იქცა.

წინამდებარე კვლევაში კონსულტანტმა დააფიქსირა 13 მაღალი ტაქსონომიური ჯგუფი (ოჯახზე უფრო მაღალი ტაქსონომიური სტატუსი, გარდა ქირონომიდებისა, წარმოდგენილია ცხრილში ოჯახის ტაქსონომიური სტატუსის მიხედვით) და სულ არანაკლებ 62 ტაქსონი - სახეობის ან ქვესახეობის სტატუსის მქონე, თუ სახეობა არ არის განსაზღვრული (სახეობების იდენტიფიკაციის სამუშაოები გრძელდება და დასრულდება 2022 წლის სექტემბრამდე).

კვლევის დროს დაფიქსირებული მსხვილი ტაქსონომიური ჯგუფების განაწილება 62 ტაქსონიდან, სახეობების ან ქვესახეობების სტატუსით ასეთნაირია: ერთდღიურები (*Ephemeroptera*) – 14, რუისელები (*Trichoptera*) – 12, მცირე ჯაგრიანი ჭიები (*Oligochaeta*) – 2, მუცელფეხიანები (*Gastropoda*) – 1, ხრიალები (*Chironomidae*) – 6, ორფრთიანები (*Diptera*) – 5, ნემსიკლაპიები (*Odonata*) – 2, ხეშემფრთიანი ხოჭოები (*Coleoptera*) – 4, მეგაზაფხულები (*Plecoptera*) – 9, ობობასებრნი (*Araneida*) – 2, ამფიპოდები (*Amphipoda*) – 2, ტკიპები (*Acarina*) – 2, სიფრიფანაფრთიანები (*Hymenoptera*) – 1.

მიმდინარე კვლევისას მდინარე აჭარისწყალში დაფიქსირდა დასავლეთ საქართველოს (კოლხეთის) მდინარეებისთვის დამახასიათებელი ყველა ძირითადი ტაქსონომიური ჯგუფი. მწერების ჯგუფი (ერთდღიურები, მეგაზაფხულები, რუისელები, ორფრთიანები (ხრიალები

და სხვა ორფრთიანები), ნემსიყლაპიები, ხეშეშფრთიანი ხოჭოები, სიფრიფანაფრთიანები) დომინირებს ბეთნოსურ წყლის მაკროუხერხემლოებში, რომლებიც შეადგენენ სახეობათა 85%-ს, მსგავსად ხოლეთის მთების სხვა მდინარეებისა. წყალქვეშა მაკროუხერხემლოების ყველა სხვა ფორმა (მუცელფეხიანები - მცირე ჯაგრიანი ჭიები - ობობასებრნი - ტკიპები - ამფიპოდები) წარმოადგენს სახეობრივი მრავალფეროვნების საშუალოდ 15%-ს. როგორც ცნობილია კავკასიურ ბიოცენოზში, მათი რაოდენობრივ-თვისებრივი ინდიკატორების ზრდა დამოკიდებულია წყლის ხარისხის გაუარესებასთან (ევტროფიკაციასთან).

ტაქსონომიური ბირთვი შედგება მწერების ჯგუფისგან, ესენია: ერთდღიურები - მეგაზაფხულეები - რუისელები - ორფრთიანები (ხრიალები და სხვა ორფრთიანები), რომლებიც შეადგენენ წყლის მაკროუხერხემლოების ტაქსონომიური მრავალფეროვნების 75%-ს.

წყლის მაკროუხერხემლოების ტაქსონომიური სტრუქტურა კვლევის სადგურების მიხედვით წყალსაცავის გარეცხვამდე და გარეცხვის შემდეგ წარმოდგენილია N12 ცხრილში.

ცხრილი 12. წყლის მაკროუხერხემლოების ტაქსონომიური სტრუქტურა კვლევის სადგურების მიხედვით გარეცხვამდე და გარეცხვის შემდეგ.

ტაქსონომიური ჯგუფი	## სადგური									
	აჭარისწყალი						სხალთა			
	F1	F2	F3	F4	F5	F6	F7	F8	F9	F10
მცირე ჯაგრიანი ჭიები					+/-	+/-				
მუცელფეხიანები				-/+		+/-				
ობობასებრნი					+/-					
ტკიპები						+/+	+/-	+/-		
ნემსიყლაპიები				+/-		+/+				
ერთდღიურები	+/+	+/+	+/+	+/+	+/+	+/+	+/+	+/+	+/+	+/+
მეგაზაფხულეები	+/+	+/+	+/+	+/+	+/+	+/+	+/+	+/+	+/+	+/+
ხეშეშფრთიანი ხოჭოები		+/-	+/-		+/+	+/+		+/+		
რუისელები	+/+	+/+	+/+	+/+	+/+	+/+	+/+	+/+	+/+	+/+
ორფრთიანები	+/-	+/-	+/-	+/+	+/+	+/+	+/+	+/+	+/+	+/+
ხრიალები				+/-	+/+	+/+		+/+		
ამფიპოდები			-/+	+/+		+/+				
სიფრიფანაფრთიანები	+/-			+/-					+/+	
სულ სადგურების მიხედვით	5/3	5/3	5/4	8/6	8/6	11/9	5/4	7/6	4/4	4/4
სულ მდინარეების მიხედვით	13						8			

წყლის მაკროუხერხემლოების ტაქსონომიურ სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ დაფიქსირებულა წყალსაცავების გარეცხვამდე და მას შემდეგ. ტაქსონომიური ბირთვი ერთდღიურები - მეგაზაფხულეები - ორფრთიანები უცვლელი დარჩა, გარდა სადგურებისა F1, F2, F3, და F4, სადაც წყალსაცავების გარეცხვის შემდეგ ცვლილებები მხოლოდ ორფრთიანების ჯგუფს შეეხო. წყლის მაკროუხერხემლოების ნიმუშების რაოდენობა ძირითადი ჯგუფების მიხედვით (ნიმუში/მ2) და %EPT საკვლევი სადგურების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილებში 13 და 14.

ცხრილი 13. წყლის მაკროუხერხემლოების ნიმუშების რაოდენობა ძირითადი ჯგუფების მიხედვით (ნიმუში/მ2) და %EPT კვლევის სადგურების მიხედვით მდინარე აჭარისწყალზე B = გარეცხვამდე, A = გარეცხვის შემდეგ).

# სადგური	ძირითადი ტაქსონომიური ჯგუფები										სულ			%EPT	
	ერლდ.		რუის.		მეგაზაფ.		ორფრთ.		სხვ.						
	B	A	B	A	B	A	B	A	B	A	B	A	B	A	
F1	56	4	18	2	78	6	18	0	2	0	172	12	88,37		
F2	198	8	38	2	88	12	12	0	4	0	340	22	95,29		
F3	158	42	78	24	82	10	38	0	4	8	360	84	88,33		
F4	52	46	86	70	116	82	12	8	38	8	304	214	83,55		
F5	88	82	22	18	32	38	16	19	26	18	184	175	77,17		
F6	202	192	108	82	66	68	166	142	38	32	580	516	64,82		
საშუალოდ	125,6	62,3	58,33	33	77	36	43,6	28,16	18,66	11	323,19	170,5	82,92		

ცხრილი 14. წყლის მაკროუხერხემლოების ნიმუშების რაოდენობა ძირითადი ჯგუფების მიხედვით (ნიმუში/მ2) და %EPT კვლევის სადგურების მიხედვით მდინარე სხალთაზე B = გარეცხვამდე, A = გარეცხვის შემდეგ).

# სადგური	ძირითადი ტაქსონომიური ჯგუფები										სულ		%EPT	
	ერლდ.		რუის.		მეგაზაფ.		ორფრთ.		სხვ.					
	B	A	B	A	B	A	B	A	B	A	B	A	B	A
F7	22	30	58	42	16	14	48	34	2	0	146	120	65,75	71,66
F8	48	56	44	36	48	52	12	12	10	8	162	164	86,41	87,80
F9	26	22	22	20	8	18	18	10	2	2	76	72	73,68	83,33
F10	28	24	16	26	10	6	12	8	0	0	66	64	81,81	87,5
საშუალოდ	31	33	35	31	20,05	22,5	22,5	16	3,5	2,5	112,5	105	76,91	82,57

მდ. აჭარისწყალზე, წყალსაცავის გარეცხვამდე მაღალი ტაქსონომიური ჯგუფების რაოდენობრივი (პროცენტული მაჩვენებელი რაოდენობის მთლიანი რიცხვიდან) მაჩვენებელი ასეთი იყო: ერთლიანები *Ephemeroptera* – 38,86%, რუისელები *Trichoptera* – 18,04%, მეგაზაფხულები *Plecoptera* – 23,82%, ორფრთიანები *Diptera* (ქირონომიდები და სხვა ორფრთიანები)– 13,49%, წყლის მაკროუხერხემლოების სხვა ჯგუფების პროცენტული მაჩვენებლები მცირე იყო და მათი ჯამი სულ 5,77%-ს აღწევს (იხილეთ ცხრილი 13).

ხოლო გამორეცხვის შემდეგ, მაღალი ტაქსონომიური ჯგუფების პროცენტული მაჩვენებლების (პროცენტული მაჩვენებელი რაოდენობის მთლიანი რიცხვიდან) განაწილება ასე გამოიყურება: ერთლიანები *Ephemeroptera* – 36,54%, რუისელები *Trichoptera* – 19,35%, მეგაზაფხულები *Plecoptera* – 21,11%, ორფრთიანები *Diptera* (ქირონომიდები და სხვა ორფრთიანები) – 16,52%, წყლის მაკროუხერხემლოების სხვა ჯგუფები მცირე რაოდენობით იყო წარმოდგენილი და მათი საერთო წილი 6,45%-ს შეადგენს (იხ. ცხრილი 13).

მდ. სხალთაზე, წყალსაცავის გარეცხვამდე მაღალი ტაქსონომიური ჯგუფების რაოდენობრივი (პროცენტული მაჩვენებელი რაოდენობის მთლიანი რიცხვიდან) მაჩვენებელი ასეთი იყო: ერთლიანები *Ephemeroptera* – 27,66%, რუისელები *Trichoptera* – 31,23%, მეგაზაფხულები *Plecoptera* – 17,89%, ორფრთიანები *Diptera* (ქირონომიდები და სხვა ორფრთიანები)– 20,08%, წყლის მაკროუხერხემლოების სხვა ჯგუფების პროცენტული მაჩვენებლები მცირე იყო და მათი ჯამი სულ 3,12%-ს აღწევს (იხილეთ ცხრილი 14).

ხოლო გარეცხვის შემდეგ, მაღალი ტაქსონომიური ჯგუფების პროცენტული მაჩვენებლების (პროცენტული მაჩვენებელი რაოდენობის მთლიანი რიცხვიდან) განაწილება ასე

გამოიყურება: ერთლიანები *Ephemeroptera* – 31,42%, რუისელები *Trichoptera* – 29,52%, მეგაზაფხულები *Plecoptera* – 21,42%, ორფრთიანები *Diptera* (ქირონომიდები და სხვა ორფრთიანები) – 15,23%, წყლის მაკროუხერხემლოების სხვა ჯგუფები მცირე რაოდენობით იყო წარმოდგენილი და მათი საერთო წილი 2, 38%-ს შეადგენს (იხ. ცხრილი 14).

აჭარისწყალსა და სხალთაში წყალსაცავების გარეცხვამდე და გარეცხვის შემდეგ წყლის მაკროუხერხემლოთა შემადგენლობის ზოგადი სტრუქტურა არ შეცვლილა. ნიმუშების აღების ყველა ადგილზე დაფიქსირდა %EPT-ის მაღალი მნიშვნელობები (60%-ზე მეტი), რაც წყლის კარგ ხარისხზე მიუთითებს.

მნიშვნელოვანია წყლის მაკროუხერხემლოების გადაადგილების (დრეიფის) შესწავლა, რადგანაც იგი წარმოადგენს თევზისთვის საკვების ხელმისაწვდომობის ინდიკატორს. „მიგრაციის“ დრეიფი მიმდინარეობს შედარებით სტაბილურ პირობებში და ასახავს უხერხემლოების მიგრაციის ბუნებრივ პროცესებს. წყალდიდობის შემდეგ და წყალდიდობისა და წვიმების შედეგად გამოწვეული მაღალი სიმღვრივის პირობებში, „მიგრაციული“ გადაადგილების გარდა, არსებობს გადაადგილების კიდევ ერთი სახეობა – „აცილების“ დრეიფი, როდესაც უხერხემლოები თავს არიდებენ არეულობის ზონებს. ორივე დრეიფის პირობებში მიღებული მონაცემების გამოყენება შეუძლებელია თევზის კვების საფუძვლის შესაფასებლად. წყლის მაკროუხერხემლოების გადაადგილების ინტენსივობა ასახავს მდინარეებში უხერხემლოების თანასაზოგადოებების ყოველდღიურ და სეზონურ დინამიკას.

რაც შეეხება სახეობების შემადგენლობებს, გადაადგილების კუთხით დომინანტ ჯგუფს წარმოადგენენ ერთლიანები, რუისელები, მეგაზაფხულები და ორფრთიანები. აღსანიშნავია ყველა სადგურზე დაფიქსირებული ალოქტონის მნიშვნელოვანი რაოდენობა: ხმელეთის მწერები, ხმელეთის მცენარეების ნაწილები და ა.შ. (იხილეთ ცხრილი 15).

ცხრილი 15. უხერხემლოების მოდრეიფე ჯგუფების რაოდენობა (სახეობა/მ2) კვეთაზე 1 საათში სადგურების მიხედვით. B = გარეცხვამდე, A = გარეცხვის შემდეგ

# სადგური	ძირითადი ტაქსონომიური ჯგუფები										ნახერხ		ალოქტონი	
	ერთლი.		რუის.		მეგაზაფ.		ორფრთ.		სხვა		B	A	B	A
	B	A	B	A	B	A	B	A	B	A				
F1	80	248	62	188			8	32		8			+	+
F2	122	306	44	206			8	58		12			+	+
F3	134	320	40	154		20	10	70		26		+	+	+
F4	96	108	44	168		42		66					+	+
F5	88	126	30	88	32	48		94					+	+
F6	280	410	140	210	52	66	168	206		44			+	+
